პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ნოემბერი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირებისა და ანდრია გუგუშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის კორნელი სანაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ანდრია გუგუშვილის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს კორნელი სანაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. სამგორის რაიონში, შეიცვალოს კორნელი სანაძის ქუჩის მონაკვეთის გავრცელების არეალი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

ბაბაძის ქუჩა
ბაბაძის ქუჩა
01.00.639
01.00.639
01.00.639
01.19.24.007.314
01.19.24.007.203
01.19.24.007.925
01.19.23.050.007
01.19.24.007.256
01.19.24.007.252
01.19.24.007.138
01.19.24.007.414
01.19.24.007.396
01.19.24.007.227
01.19.24.007.756
01.19.23.033.005
01.19.24.017.026
01.19.24.017.006
01.19.24.017.028
01.19.24.017.029
01.19.24.017.030
01.19.24.017.031
01.19.24.007.204
01.19.24.007.091
01.19.24.007.883
01.19.23.033.004
32
49
45
45ბ
43
23
25ბ
36
34
25
28
26

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

12 / ნოემბერი / 2025 წ.

06-0325317 5-03

KA011706354400325

№ **256769**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) წარედგინა მოქალაქე დავით გვენეტაძის (პ/ნ 01024011866) განცხადება **M25014778**, რომლითაც მოთხოვნილია 01.19.24.017.029 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთისთვის ნუმერაციის წარმოშობა. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთის საიდენტიფიკაციო მონაცემად ამჟამად მითითებულია - **„ქალაქი თბილისი, დასახლება ქვემო ალექსეევკა“**.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული წარმოების ფარგლებში მონაცემების შესწავლისას დადგინდა, რომ სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტები სახელწოდებებით:

- ქალაქი თბილისი, კორნელი სანაძის ქუჩა;
- ქალაქი თბილისი, კორნელი სანაძის I გასასვლელი;
- ქალაქი თბილისი, კორნელი სანაძის I შესახვევი;
- ქალაქი თბილისი, კორნელი სანაძის II შესახვევი;
- ქალაქი თბილისი, კორნელი სანაძის III შესახვევი;
- ქალაქი თბილისი, კორნელი სანაძის I ჩიხი;
- ქალაქი თბილისი, კორნელი სანაძის II ჩიხი;
- ქალაქი თბილისი, კორნელი სანაძის III ჩიხი.

ამასთან, სამისამართო რეესტრში აღრიცხული მონაცემების თანახმად, "ქალაქი თბილისი, კორნელი სანაძის ქუჩის" მოხაზულობა კვეთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს (იხ. თანდართული სიტუაციური ნახაზი). სააგენტოში დაცულია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 29 მაისის N111 დადგენილება, რომლის საფუძველზე ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე უსახელო ქუჩებს, მასზე არსებული ჩიხებით და გასასვლელებით მიენიჭა სახელწოდებები, მათ შორის კორნელი სანაძის სახელი. ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 18 მარტის N79 განკარგულებით გაგრძელდა კორნელი სანაძის ქუჩა და მასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭა კორნელი სანაძის III შესახვევის სახელი.

საქმისათვის არსებითი გარემობების გამოკვლევისა და ნუმერაციის კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების გათვალისწინების მიზნით, გთხოვთ, უზრუნველყოთ "ქალაქი თბილისი, კორნელი სანაძის ქუჩის" სამისამართო რეესტრში აღრიცხული გეოგრაფიული მონაცემების სისწორის გადამოწმება და მოხაზულობის თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის მოწოდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია


 სიტუაციური რუკა
01.19.23.050.007
01.19.24.017.026
01.19.24.007.091
01.19.24.017.006
01.19.24.017.023
01.19.24.017.025
01.19.24.017.028
01.19.24.017.014
01.19.24.017.029
01.19.24.017.030
01.19.24.017.019
01.19.24.017.031
01.19.24.007.402
01.19.24.017.024
01.19.23.050.005
01.19.24.007.324
01.19.24.007.444
01.19.24.017.032
01.19.24.007.396
01.19.24.007.873
01.19.24.007.874
10
20
40
60
80
მეტრი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032532962**
თარიღი: **25/11/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 13 ნოემბრის საქმე #06-03253175-03 დაკავშირებით, რომლითაც დავით გვენეტაძის M25014778 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება (ს.კ.01.19.24.017029). გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩის გავრცელების არეალის კორექტირებისა და ანდრია გუგუშვილის ქუჩის მონაკვეთის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში კორნელი სანაძის სახელის მინიჭების მიზნით) დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი